ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N94

ქალაქი ბათუმი

11 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **ა.ა.ი.პ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე** (შემდგომში „შემსყიდველი“), **წარმოდგენილი დირექტორის თამარ მესხიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „პროვაიდერ-ჯი”(შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის სალომე კიკვაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულებისსაგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: დანართში მოცემული საქონლის შეძენა.
2.2 საქონლის კონკრეტული სახე. ერთეულის ფასი, CPV კოდები მოცემულია დანართი 1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2 დაფინანსების წყარო: ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 134,15 (ასოცდათოთხმეტი ლარი და 15 თეთრი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების წესი, ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2016 წლის 15 ოქტომბრამდე.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის მისამართი.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია სასახლის დირექტორი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის მიხედვით შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და შესაბამის საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ ექნება აუთვისებელ თანხაზე.

7. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონელის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმშემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თან ხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებული დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

1.4.3.არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

1.4.4. . ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

1.4.5. ნებისმიერიშეტყობინება, რომელსაცერთიმხარე, ხელშეკრულებისშესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით,ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვადოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
14.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 20 ნოემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა.ა. ი.პ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე

6000, საქართველო,ქალაქიბათუმი
კ. გამსახურდიას 37
ს/კ445404820

დირექტორი
თამარ მესხიძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს,,პროვაიდერ-ჯი"

6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
ვახტანგ გორგასლის ქ. #34
ს/კ 445427119
ს.ს.,, პროკრედიტბანკი"
მფოMIBGGE22
ა/ა GE13PC0193600100011836
ტელ: 571333222

დირექტორი
სალომე კიკვაძე

#93 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დანართი

1	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი	CPV
2	ყავა კოლუმბია მედელინი	ცალი	1	10,00	10,00	15864100
3	ჩაი პრინცესა ნური	ცალი	1	2,40	2,40	15861000
4	ბლოკნოტი	ცალი	1	7,50	7,50	22816100
5	მაკრატელი საბავშვო	ცალი	1	1,70	1,70	39241200
6	საწმენდი ტილო მიკროფიბრი	ცალი	1	1,20	1,20	39525800
7	მაკრატელი საბავშვო	ცალი	1	1,00	1,00	39241200
8	ხელსახოცი	ცალი	1	1,05	1,05	39513200
9	კალამი ლურჯი გელით	ცალი	1	4,50	4,50	30192122
10	კალკულატორი	ცალი	1	11,00	11,00	30141000
11	სველი ხელსახოცი	ცალი	1	3,20	3,20	39513200
12	ფერადი ქაღალდი ა4 80 გრ 100 ფურც სტაფილოსფერი	შეკვრა	3	4,00	12,00	30194300
13	ფერადი ქაღალდი ა4 80 გრ 100 ფურც ღია მწვანე	შეკვრა	1	4,00	4,00	30194300
14	ფერადი ქაღალდი ა4 75 გრ 100 ფურც წიტელი	შეკვრა	3	4,00	12,00	30194300
15	ფერადი ქაღალდი ა4 75 გრ 100 ფურცმწვანე	შეკვრა	1	3,00	4,00	30194300
	ელემენტი დურასელი	ცალი	4	9,00	36,00	31440000
	კალკულატორი	ცალი	1	9,00	9,00	30141000
	ალბომი სახატავი 20 ფურც	ცალი	3	0,80	2,40	30192000
16	ალბომი სახატავი 8 ფურც	ცალი	14	0,80	11,20	30192000

მიმწოდებელი: შპს ,,პროვაიდერ-ჯი"-ს დირექტორი — სალომე კიკვაძე

შემსყიდველი: ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი — თამარ მესხიძე